7

სექტემბერი
ხუთშაბათი,
1961 წ.
№ 138 (1774)
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი არწივი ყიოდა...

ტიან-შანზე დაღუპული სამი მამაცი მთამსვლელის — ილია გაბლიანის, თეიმურაზ კუხიანიძისა და ჯუმბერ მეძმარიაშვილის ხსოვნას.

სამი არწივი ყიოდა..
გვეღუპებაო ძმები!
სამთავეს გული სტკიოდა,
დაბლა დაეშვა ფრთები.
შუბლი შეეკრა ტიან-შანს,
იმუქრებოდა ზავთად,
მრუდედ დაედგა ტიალსა
მახე მრისხანე ზვავთა.
ყრუ ხმა ისმოდა ხევიდან —
უკაცურ მიწის დარდი —
მზეს იჩრდილავდა ხელითა
დიდი პრჟევალსკის ლანდი
სვანეთშიც გული ელევა
გაბლიანების დედას:

— თუმცა მწვერვალებს ერევა,
ღვიძლი მწარეა მეტად.
ბრალია მოყმის დაკარგვა,
არწივს წაუხდა ფრთაო,
მზემან ხან-თენგრი დაქარგა,
თეთნულდო, თეთრო მთაო! —
შენ შეავედრე მწვერვალებს,
შვილია შენი მიწის,
ყინულის კალო ელვარებს,
მოყმის გულ-ღვიძლი იწვის.
სხვამ ვერ გაბედა ვერავინ
შებმა უშიშარ სვანთან,
როს გამარჯვების მწვერვალი
დამარცხებული ჩანდა.
იწვოდა დიდის კალთაი,
თალხი გაეკრა აკვანს:
მოკვდა სინათლე თვალთაი,
ორი არწივიც გაჰყვა!
თოვლის მინდორი ტრიალი
ყორნის ნაოჭარს ჰგავდა,
რას მივიდოდა ტიალი
სამი ვაჟკაცის გვამთან! —
სამი არწივი ყიოდა,
დაგვეღუპაო ძმები!
სამთავეს გული სტკიოდა,
დაბლა დაუშვეს ფრთები.
ნუ გედარდებათ, ლაღებო,
ცრემლით ნუ ივსებთ თვალებს!
ვინც შესძლო ზეცის აღება,
სიკვდილი ვერას ავნებს!

ა. გელოვანი

კ. დეკერი ოპტიმისტურადაა განწყობილი

როგორც ცნობილია, 10 სექტემბერს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება მიმდინარე საფეხბურთო სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. ეს იქნება მათი რიგით მესამე შეხვედრა უკანასკნელი წლების მანძილზე. პირველ მატჩი ავსტრიის ფეხბურთელებმა წააგეს საბჭოთა კავშირის ნაკრებთან მსოფლიოს პირველობაზე შეეცაში (0:2), ხოლო მეორე შეხვედრაში გასულ წელს მათ რიგში აიღეს (3:1).

ეცხოეთის კორესპონდენტებთან საუბარში ავსტრიის ნაკრების მწვრთნელმა კ. დეკერმა შემდეგი განაცხადა: „ჩვენ მართალია არ ვთამაშობთ მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატში, მაგრამ შეეცდებით დამტკიცოთ ჩვენი ფეხბურთის ძალა და უნარი. საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებს ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესებად ვთვლით და ამიტომ სრული სერიოზულობით ვემზადებოდით ამ მატჩისათვის. ავსტრიის გუნდი მოსკოვში 15 აგვისტს შემადგენლობით ჩამოვა. ამ იქნებიან ტყავის ბურთის მსოფლიოში ცნობილი ოსტატებიც (ჰალმი, კოლერი, ნემეცი, ბუცეკი და სხვ.) და ახალგაზრდა ფეხბურთელებიც. მოსკოვში ჩვენ შეეცდებით ვითამაშოთ 4 მცველის და ერთი თავდამსხმელის სისტემით და დამტკიცოთ, რომ ეს განლაგება ველზე პროგრესულია დღეს მსოფლიოში. მატჩის მოსალოდნელ შედეგზე წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მოსკოველ მაყურებელს ნამდვილ ფეხბურთს ვუჩვენებთ. ჩვენ ბიჭები განწყობილნი არიან საძალოდ და საკმაოდ ოპტიმისტურადაც“.

სურათზე: დანიელ ხელბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები თბილისის აეროპორტზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჩვენი სტუმრები

უკვე მესამე დღეა, რაც თბილისში იმყოფებიან დანიელი ხელბურთელები. დანიელ ხელბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების ხელმძღვანელმა ჰელმუტ ომ თბილისის აეროდრომზე, როგორც კი თვითმფრინავიდან გადმოვიდა, განაცხადა: ჩვენ ლენინგრადში გავიგეთ, რომ პირველად თბილისში ჩავატარებდით საერთაშორისო შეხვედრას. ამან ყველა დანიელი ხელბურთელი გაახარა, რადგან ჩვენამდისაც — დანიაშიც მოაღწია ქართველი ხალხის განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობის ამბავმა. ახლა კი, როცა უკვე თბილისში შემოვდგით ფეხი, უფრო მეტად მოხარული ვართ უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის დედაქალაქში ყოფნით. თბილისელ ხელბურთის მოყვარულებს კარგ თამაშს ვუჩვენებთ. ჰელმუტ ომ გაზეთ „ლელოს“ მკითხველებისათვის მოკლე განცხადება გააკეთა: „დანიელი ხელბურთელების გულითადი სალამი ქართული სპორტული გაზეთის პატივცემულ მკითხველებს!“.

დანიაში ხელბურთის (7×7) თამაშის ისტორია 15 წელზე მეტს მოიცავს. დანიელ ხელბურთელთა საკლუბო გუნდებს და ეროვნულ ნაკრებს ხშირად ჰქონიათ წარმატებები საერთაშორისო შეხვედრებში. დანიის ნაკრები 1959 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც ფლობდა. მოკლედ რომ ვთქვათ, დანიაში ხელბურთი ისე ძალზეა განვითარებული, რომ ფეხბურთის შემდეგ იგი აქ სპორტის სახეობა № 2-ად ითვლება. როგორც წესი, დანიაში არის ორი კატეგორიის გუნდები. ერთ კატეგორიას მიეკუთვნებიან ბურჟუაზიული წრეების ხელბურთელები, რომლებიც თავისი ქვეყნის ჩემპიონატს ცალკე ატარებენ, მეორე კატეგორიას კი მიეკუთვნებიან მუშათა პროფკავშირული გუნდები. ეს უკანასკნელებიც თავის ქვეყნის ჩემპიონატებს ცალკე ატარებენ. საქართველოში სტუმრად ჩამოსული ნაკრები გუნდები შედგენილია მუშათა სპორტული კლუბების წარმომადგენლებისაგან. ქალთა ნაკრები დაკომპლექტებულია დანიის 5 სპორტული კლუბის საუკეთესო მოთამაშეებისაგან. ვაჟთა გუნდი — 4 სპორტული კლუბის წარმომადგენლებისაგან. ორივე ნაკრებს აქვს ჩატარებული თითო საერთაშორისო შეხვედრა ავსტრიის ნაკრებ გუნდებთან. ქალთა გუნდმა საერთაშორისო შეხვედრა მოიგო დამჯერებელი ანგარიშით 8:1, ვაჟთა გუნდი კი დამარცხდა — 11:13. დღეს დანიის ნაკრები გუნდები თავის მეორე საერთაშორისო მატჩში ხვდებიან ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელებს.

ახლა ცოტა რამ ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელებზედაც. რესპუბლიკაში ხელბურთი სულ 4 წელია რაც დაინერგა, მაგრამ ჩვენმა ვაჟმა ხელბურთელებმა უკვე ერთგვარი წარმატებებიც მოიპოვეს საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებზე. წელს სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო შეჯიბრებაში, სადაც ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ხელბურთელთა გუნდები იღებდნენ მონაწილეობას, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მე-5 ადგილი დაიკავა. ხელბურთელ გოგონათა გუნდი ჯერჯერობით შედარებით სუსტად გამოიყურება. ხელბურთელთა გუნდები ძირითადად თბილისის უმაღლეს სასწავლებლებშია შექმნილი, გვყავს გუნდები სოხუმში და ბათუმშიც. ქართული ხელბურთის აღმავალი განვითარების გზა ჯერ კიდევ წინაა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ პირობებშიც უკვე შესაძლებელი გახდა საქართველოს ვაჟთა შედარებით ძლიერი ნაკრების შექმნა, რაშიც უდავოდ რესპუბლიკის ხელბურთის ფედერაციას მიუძღვის წვლილი. ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი დღეანდელი საერთაშორისო შეხვედრისათვის ემზადებოდა გუნდის უფროსი მწვრთნელის გ. შარაშიძის ხელმძღვანელობით, ქალთა გუნდი — ა. ბათმანოვის ხელმძღვანელობით. დანიელებთან დღევანდელი მატჩი ჩვენი ვაჟთა გუნდისათვის რიგით მესამე საერთაშორისო შეხვედრა იქნება. ჩვენი ქალთა გუნდისათვის კი ეს პირველი გამოცდაა.

მაშ ასე, დღეს შედგება მორიგი საერთაშორისო მატჩი ხელბურთში, რომელშიც საქართველოს ხელბურთელებს ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ეჭნებათ საქმე. განმეორებითი მატჩი შედგება ხვალ, ზეგ კი ჩვენი დანიელი სტუმრები მორიგი მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრებიან ჯერ კიევში, ხოლო შემდეგ მოსკოვში.

ბოტვინიკი, ს. ფლორი თბილისში

...ეშინ თბილისის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ...ადრაკეები საქართველოს საზღვარზე შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონ ...ბოტვინიკსა და გროსმაისტერ ს. ფლორს, რომლებიც ერევანში გასულ ...ოლებს შემდეგ მოემგზავრებოდნენ თბილისში.

— მე დიდი სიამოვნებით მოვდივარ სამხრეთის შესანიშნავ ქალაქში,— ...ლისში, — განაცხადა მ. ბოტვინიკმა. — მაინტერესებს შეხვედრები ...ოველ მოჭადრაკეებთან და ჭადრაკის მოყვარულებთან.

...ღეს, 7 სექტემბერს, რუსთაველის სახ. თეატრის საკონცერტო დარ...ში შედგება მ. ბოტვინიკისა და ს. ფლორის ლექცია: „ჭადრაკი ...ელ წელს“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ჯაჭვთაგუნა „ქ“

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 სექტემბრისათვის

ვაჟები

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა მოსკოვი	10	9	1	9
„დინამო“ მოსკოვი	12	8	4	8
სკიდი კიევი	8	6	2	6
„დინამო“ თბილისი	10	6	4	6
სკა რიგა	11	6	5	6
„ბურ“. ლდ.	9	3	6	3
„სპარტაკი“ ლდ.	10	1	9	1
„უალგირისი“ კნ.	11	1	10	1

* * *

კიევი. 5 სექტემბერი. საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში თავისი პირველი შეხვედრა (მეორე წრე) გამართა კიევის სკიფმა. იგი შეხვდა მოსკოვის „დინამოს“. გაიმარჯვეს უკრაინელმა კალათბურთელებმა — 74:64.

* * *

რიგა. 5 სექტემბერი. აქ გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული შეხვედრა. თამაშობდნენ რიგის სკა და ლენინგრადის „სპარტაკი“. მატჩი მოიგეს არმიელებმა—78:54.

XXII ყრილობის შესახვედრად

ქუთაისის სპორტულმა ორგანიზაციებმა 1960 წელს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ყველა დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. ამის შედეგად საქალაქო სპორტკავშირი დაჯილდოვდა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის გარდამავალი წითელი დროშით,

გასულ წელს სპორტული შედეგების მიხედვით დაჯილდოვდა ჩვენი ქალაქის ბევრი გუნდიც. ასე მაგალითად, „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის მთელმა შემადგენლობამ სპორტის ოსტატის წოდება მიიღო, „იმერეთის“ ფეხბურთელთა გუნდმა — გარდამავალი წითელი დროშა, „განთიადის“ საქალაქო საბჭო დაჯილდოებულია ცენტრალური საბჭოსა და ქუთაისის საქალაქო სპორტკავშირის გარდამავალი წითელი დროშით. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მიერ გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებულია აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივი. რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივებია ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის, სამთო ტექნიკუმისა და პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის კოლექტივები.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება და უწყება ქალაქად მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭო, რის შედეგადაც ამ ორგანიზაციაში წლიური გეგმის შესრულებას საფრთხე მოელის. მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადების წლიური გეგმის შესრულებისათვის სუსტად მუშაობენ „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“ და „შრომითი რეზერვების“ საქალაქო საბჭოები. ანალოგიური მდგომარეობაა განათლების განყოფილების სპორტულ და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ახალი ამოცანების წინაშე

ა. ჩოგოვაძე

ქუთაისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

△

საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სპარტაკიადაში ქუთაისის სპორტული დელეგაცია სპორტის 37 სახეობაში მონაწილეობდა და რესპუბლიკის ქალაქებს შორის მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. დიდ წარმატებას მიაღწიეს მოკრივეთა, ტყვიით მსროლელთა, ფარიკაობის, კალათბურთის, ჭადრაკის, მშვალდრსნობისა და სხვა გუნდებმა. წარმატება იქნა მოპოვებული პროფკავშირულ სპარტაკიადაზეც. ამ დიდი მასშტაბის სპორტულ ღონისძიებებში ნაყოფიერი წვლილი შეიტანეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის, ავტოქარხნის, აბრეშუმის კომბინატის, სამთო და სატყეო ტექნიკუმების, მაუდის ფაბრიკის, ფეხსაცმლის კომბინატის, ადგილობრივი მრეწველობის, ლიტოპონის ქარხნის, ელექტრო-მექანიკური ქარხნის, განათლების განყოფილების ტანვარჯიშის სპორტსკოლისა და სხვა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური საიუბილეო სპარტაკიადის მზადების პერიოდში ჩვენს ქალაქში პირველად ჩაეყარა საფუძველი სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა აკადემიური ნიჩბოსნობა, ჰოკეი და მშვილდოსნობა. ახლა ჩვენთან უკვე სპორტის 41 სახეობაა კულტივირებული, სადაც 40.000-მდე კაცი მეცადინეობს.

ინტენსიური და ნაყოფიერი გახდა სპორტული მუშაობა, ბრძოლა ოსტატობისათვის, რამაც უკვე მოიტანა თავისი შედეგებიც. პირველი ოქროს მედალი მოუპოვა თავის ქალაქს მიმდინარე წელს კლასიკური სტილის მეჭიდავემ, 18 წლის გიგლა ესებუამ, რომელიც მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ქაბუკთა შორის. კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის მე-2 ადგილი დაიკავა ვანო ბაბუკა. შორის 17 წლის დიმიტრი ნარსია, თაკაჩუფლი ტიტელთა მეჭიდაგეთა გუნდის „განთიადის“ საკავშირო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. ახალგაზრდა ტანმოვარჯიშემ ნ. ბანძელაძემ სპორტის ოსტატობა შეასრულა და ა. შ.

ამჟამად ქუთაისის ფიზკულტურის ორგანიზაციები, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად, ახალი ამოცანების წინაშე დგანან. ეს მდგომარეობს იმაში, რომ ღირსეულად შეავასრულოთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად.

ზუსტად დავარტყათ კარში

კარში ბურთის ზუსტად დარტყმის ჩვევის შემუშავებისათვის ფეხბურთელები სისტემატურად ვარჯიშობენ დარტყმებში სხვადასხვა მანძილიდან და კარის ყველა მიმართულებით. ამას ისინი აწარმოებენ როგორც უძრავ ბურთზე, ისე მოძრაობაშიც, წინაღმდეგობის გარეშე და დაცვასთან ბრძოლაში. წვრთნის დროს იყენებენ ზოგიერთ დამხმარე ხელსაწყოს (შემცირებული ზომის კარი, ლითონის წრეები, კვადრატებად დაყოფილი კარი და სხვ.). აღნიშნული წვრთნის მთელი პროცესი აგებულია ისე, რომ ვარჯიში მაქსიმალურად დაუახლოვდეს თამაშის პირობებს.

როგორც ვხედავთ, არსებული მეთოდით ვარჯიში არ იძლევა ბურთის დარტყმის სიზუსტის საჭირო დიფერენცირებას. აქ ხდება საერთო ვარჯიში კარში ბურთის კარგად დარტყმებზე, მაგრამ შედეგს ნაკლები ყურადღება ექცევა, ნაკლებად ხდება დაშვებული შეცდომების გამოსწორება. ჩვენის აზრით, კარში ბურთის ზუსტად დარტყმის ჩვევის შემუშავებისათვის საჭირო ბურთის ერთი და იგივე ადგილიდან ერთ მიზანში მრავალჯერ დარტყმა, სადაც საჭირო წინა დარტყმის დროს დაშვებული შეცდომების გათვალისწინება და მათი თანდათანობითი აღმოფხვრა, ე. ი. სიზუსტის დიფერენცირება,

ისმება საკითხი, როგორ გამოვიმუშაოთ ბურთის ზუსტად დარტყმის ჩვევა? ჩვენი აზრით, ამ ამოცანის გადაწყვეტა წვრთნის სხვა მეთოდებით უნდა ხდებოდეს, ხოლო მას შემდეგ, რაც გამოვიმუშავებთ კარში ბურთის ზუსტად დარტყმის ჩვევებს, საჭიროა მივმართოთ წვრთნის ამჟამად არსებულ მეთოდს, რათა მოთამაშეებს მიეცეთ საშუალება ზუსტად დარტყმის შეძენილი ჩვევა ავარჯიშონ სხვადასხვა სიტუაციაში, თამაშთან დაახლოებულ პირობებში.

კარში ბურთის ზუსტად დარტყმის ჩვევის შემუშავებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია გამოყენებული იქნას ჩვენს მიერ შემუშავებული სხვადასხვა ხელსაწყო. **სურათი 1.** აქ ფეხბურთის კარი დაფარულია ფიცრით, რომელსაც დატოვილი აქვს 70-90 სმ დიამეტრიანი წრე ბურთისათვის (კარს ასეთი წრე რამდენიმე აქვს. გამოღებულია ის წრე, რომელშიც ხდება ბურთის დარტყმა). მოთამაშე ვალდებულია რომელიმე ადგილიდან აწარმოოს ბურთის დარტყმა მიზანში. აქ იგი თავიდანვე განეწყობა, რათა ზუსტად, გარკვეული მიმართულებით დაარტყას ბურთი და მას დარტყმის ძალასაც უფარდებს. ასეთნაირად ის ერთი ადგილიდან მრავალჯერ ურტყამს ბურთს ერთ მიზანში და ყოველი დარტყმის შემდეგ შეაქვს შესწორება, თანდათან უახლოვდება წრეს, სუბიექტურად გრძნობს, რომ თვითეული დარტყმა მისთვის გრძნობადი ხდება და ბოლოს იგი ბურთს ზუსტად ახვედრებს წრეში.

თუ ამის შემდეგ ფეხბურთელს ახალ წრეზე გადავიყვანთ და ვაწარმოებთ იგივე წესით ვარჯიშს სხვა ადგილებიდან, ვნახავთ, რომ წინა გამოცდილებიდან პირველი ბურთები უფრო ახლო ლაგდებიან წრეების მომართ და დარტყმათა რაოდენობაც თანდათან ნაკლები გვჭირდება ბურთის მიზანში მოსახვედრად.

კარში ბურთის ზუსტად დარტყმის ჩვევის შემუშავების დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ფეხბურთელები ბურთის დარტყმას აწარმოებენ ტერფის შემაღლებით, რაც დიდ სიზუსტეს მოითხოვს. უამისოდ ბურთი ხშირად კარს ზემოდან ცდება ხოლმე. იმისათვის, რომ მოთამაშეს გამოვუმუშაოთ ბურთის დარტყმის მგრძნობელობა და სიზუსტე, ფეხის ტერფის სწორად დაჭერა, რომ თამაშის დროს ბურთი იგზავნებოდეს სასურველ სიმაღლეზე, ვიძლევით რამდენიმე ხელსაწყოს.

სურათი 2. აქ მოთამაშის წინ ისმება ამოცანა ბურთი გაგზავნოს ქვემო ზოლში (ზოლის სიმაღლეა 45-50 სანტიმეტრი, ზემო ნაწილი ფიცრითაა დაფარული). აღნიშნული ხელსაწყო გამოიყენება ბურთების ზუსტად დარტყმისა და ფეხის ტერფის მის შესაბამის მდგომარეობაში დაჭერის შემუშავებისათვის. **სურათი 3, 4.** აქ ზოლი ბურთის მოსახვედრად მოთავსებულია სხვადასხვა ადგილას, რაც იძლევა ბურთის ზუსტად დარტყმის მგრძნობელობის გამომუშავებას სხვადასხვა სიმაღლის მიხედვით .ვარჯიში უნდა სრულდებოდეს სხვადასხვა ადგილიდან, სანამ არ მივაღწევთ სიზუსტის სრულ დიფერენცირებას, ამის შემდეგ შეიძლება ბურთის დარტყმა ვაწარმოოთ სხვადასხვა მოძრაობებიდან. აღნიშნული ვარჯიშება სისტემატურად და ხანგრძლივად უნდა ვაწარმოოთ, რათა თამაშის დროს, ხელშემშლელ პირობებში ფეხმა სიზუსტის მგრძნობელობა არ დაკარგოს.

თამაშის დროს ფეხბურთელებს კარში ბურთის დარტყმა უხდებათ შედარებით ვიწრო ვერტიკალურ ზოლებში. იმისათვის, რომ თამაშის დროს შექმნილ მსგავს სიტუაციაში ბურთის დარტყმა უფრო ზუსტი იქნას, საჭიროა გამოვიყენოთ ისეთი ხელსაწყოები, რომლებიც მოთავსებულია აქ **(სურათი 5, 6, 7).**

აღნიშნულ ვარჯიშებს უნდა დავუმატოთ შემდეგი ფორმის ვარჯიშებიც. ცარიელი კარის წინ მოთავსებულია ფარი. აქ ფეხბურთელები კარს ნაწილობრივ ხედავენ, მათ ბურთი ისე უნდა დაარტყან, რომ იგი კარში წავიდეს და ფარს არ შეეხოს. ამის დასაძლევად საჭიროა ფარი ჯერ პატარა გავაკეთოთ, ხოლო შემდეგ თანდათან გავადიდოთ და ბოლოს კარის ტოლიც გავხადოთ. ასეთ მდგომარეობაში მოთამაშე ბურთს კარში გზავნის რკალისებური გზით.

თამაშში ფეხბურთელს ხშირად უხდება ერთი მდგომარეობიდან სწრაფად გადასვლა მეორე მდგომარეობაში. აღნიშნულ სიტუაციაში ზუსტად დარტყმისათვის ვიძლევით შემდეგ სავარჯიშო ხელსაწყოს.

სურათი 8. კარში დატოვებულია ორი წრე, მოთამაშე ვალდებულია ბურთი დაარტყას პირველ წრეში, მაგრამ მწვრთნელი მოულოდნელად მიუთითებს მეორე წრეზე ბურთის დასარტყმელად. შეიძლება აღნიშნული ვარჯიშის გართულებაც **(სურათი 9).** აქ მოთამაშე გამორბის ბურთის დასარტყმელად № 1 წრეში, მაგრამ მწვრთნელი მოულოდნელად იყენებს სხვა წრეებს.

ყველა ზემოჩამოთვლილი ვარჯიშის სისტემატურად შესრულების შემდეგ მოთამაშეს მხედველობაში ექნება არა უბრალოდ ბურთის დარტყმა კარისაკენ, არამედ მისი გაგზავნა კონკრეტული მიზნით. ცხადია, ასეთ პირობებში დარტყმული ბურთი ბევრად უფრო ზუსტია.

სიზუსტეზე დარტყმის ჩვევის ჩამოყალიბების დროს ჩვენს მიერ რეკომენდებულ ვარჯიშებში მომცადინე პირველ ხანებში აბსოლუტურად უძლური ჩანს. მის მიერ დარტყმული ბურთები სამიზნის ახლოს ლაგდება და მიზანში ვერ ხვდება, მაგრამ ამ პერიოდმა არ უნდა შეგვაშინოს. ამ მომენტში გარკვეული ამოცანა წყდება, მოთამაშე თვითეული დარტყმის შემდეგ რაღაცას ითვალისწინებს, ეძებს დასაყრდენს, ე. ი. გამეორებული დარტყმები ბრმა და უმიზნო მოქმედება კი არა, არამედ თავისებური გზაა, რის შედეგადაც მოთამაშე უკვირდება თავის მოქმედებას, აანალიზებს მათ და ახდენს ბურთის მიზანში დარტყმის დიფერენცირებას. მდგომარეობის შეფასების შემდეგ მან უკვე იცის როგორი მოძრაობა შეასრულოს, რა ძალით და მიმართულებით დაარტყას, ითვალისწინებს ხელშემშლელ პირობებსაც და მათს აღმოფხვრასაც თანდათან ახდენს.

დასასრულს საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მას შემდეგ, რაც მოთამაშეს გამოუმუშავდება კარში ბურთის დარტყმის სიზუსტის გრძნობა და ჩვევა, არ უნდა შეწყვიტოს ასეთი წვრთნა.

ჩვენს მიერ მოწოდებული ხელსაწყოების გამოყენება უნდა ხდებოდეს როგორც ბავშვებთან (ფეხბურთის სკოლები), ისე მოზრდილ ფეხბურთელებთან.

ფ. რუსიშვილი,

ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებელი.



ფინალის წინ

ლვოვი. (ტელეფონით). მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატზე უკვე მესამე შესწორება იქნა შეტანილი საკავშირო რეკორდების ცხრილში, უკანასკნელის შემოქმედია ლ. კოლესნიკოვი, რომელმაც 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ძირითადად გ. პროკოპენკოსა და ი. ფუნიკოვთან ბრძოლაში არა მარტო შეძლო დამსახურებული გამარჯვების მოპოვება, არამედ ევროპისა და საკავშირო რეკორდების დამყარებაც კი — 2.35,6 წ.

ქალთა შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა კ. ეგოროვა— 2.56,4, რითაც 100 მ მოპოვებულ ოქროს მედალს კიდევ ერთი „ოქრო“ მიუმატა. მეორე ოქროს მედალი მოიპოვა აგრეთვე ვ. კუზმინმა, ამჯერად 200 მ ბატერფლაით ცურვაში — 2.18,9. გუშინ მოეწყო უკანასკნელი გაცურვები.

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 138 (1774)

ქობულეთის „შუქურამ“ თავის მოედანზე მიიღო თბილისის არმიის სპორტული კლუბის გუნდი. თამაშის დასაწყისში არმიელებმა გახსნეს ანგარიში. მეორე ნახევარში იგრძნობოდა ქობულეთელთა უპირატესობა, ბურთი ორჯერ მოხვდა არმიელთა კარის ძელს, მაგრამ ანგარიში 1:0 არმიელთა სასარგებლოდ უცვლელი დარჩა თამაშის ბოლომდე.

გეგეჭკორის „სალხინოსა“ და მახარაძის „სიხარულის“ თამაში მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში. ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ბორის „დილა“ თავის მინდორზე შეხვდა ზუგდიდის „ოდიშს“. პირველი ნახევრის ანგარიშია 1:1, თამაშის მეორე ნახევარში „ოდიშის“ ფეხბურთელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა და გაიმარჯვეს 2:1.

თელავის „კოლმეურნემ“ მიიღო ჩოხატაურის „ბახმარო“. მე-14 წუთზე ჩოხატაურელებმა მიიღეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება, რაც კარგად გამოიყენა ჯ. მაღულარიამ და გახსნა ანგარიში. ტაიმის დასასრულს თელაველებმა გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო მეორე ნახევარში გაიტანეს გადამწყვეტი გოლი და გაიმარჯვეს 2:1.

ფოთის „მეზღვაურისა“ და ქუთაისის „მშენებლის“ შეხვედრის დასაწყისიდანვე ფოთელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ტაიმის დამთავრებამდე გაიტანეს 2 ბურთი. მეორე ტაიმში ფოთელები კვლავ აქტიურობდნენ, მაგრამ ანგარიშის შეცვლა ვერ შეძლეს.

ლანჩხუთის „გურია“ თავის მინდორზე შეხვდა ყვარლის „დურეჯს“. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა, რასაც ლანჩხუთელებმა უპასუხეს 5 ბურთით. მეორე ნახევარში ლანჩხუთელებმა ასევე 5 ბურთი გაიტანეს და საკუთარ კარში მიიღეს ერთი. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 10:2 ლანჩხუთას „გურიას“ სასარგებლოდ.

ცხაკაიაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „განთიადი“ და ახალციხის „მესხეთი“. თამაშის I ნახევარში მოწინააღმდეგეებმა გაიტანეს თითო ბურთი. შესვენების შემდეგ ცხაკაიელების ერთ-ერთ იერიში მეტოქის კარის აღება დამთავრდა და გაიმარჯვა „განთიადმა“ — 2:1.

ხალიჩის „[illegible]“ [illegible] „[illegible]“ [illegible] შეხვდა [illegible] ლებმა პირველ ნახევარში გატანილ ერთ ბურთს მეორე ნახევარში დაუმატეს ოთხი და გაიმარჯვეს — — 5:0.

სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „ისანის“ შეხვედრაში გატანილ იქნა ერთადერთი გოლი, რამაც გამარჯვება მოუტანა რკინიგზელ ფეხბურთელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარფინალეგი

გრძელა გაგრძელდება

ირაკლი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა XXII ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალი, რომელშიც დასკვნითმა შეხვედრებმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა.

I ადგილი წილად ხვდა რიგელ ნახიმოვსკაიას, რომელმაც 9,5 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ მოსკოველები კაცკოვა, კუშნირი და სვერდლოვსკელი ფილანოვსკაია, რომელთა შორის დაინიშნება დამატებითი შეხვედრები კიდევ ორი ფინალისტის გამოსარკვევად.

თბილისელმა ქ. გოგიავამ მოაგროვა 7 ქულა. შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე მას გადაეცა გაზეთ „ვოსტოჩნაია სიბირსკაია პრავდის“ სპეციალური პრიზი მალინოვასთან ერთად მოგებული პარტიისათვის.



მხოლოდ ორი ფინალისტი

ბიალტა. (ჩვენი სპეც. კორ.). [illegible]ლტის ნახევარფინალის დასკვნით, XIII ტურში ყველაზე ადრე [illegible]მთავრდა ლიალუნოვა - ტოგონიძისა და იგნატიევა--იაკირის [illegible]ტიები. ტოგონიძესა და იგნატიევას ყაიმი აწყობდათ, რასაც [illegible]ღწიეს. დანარჩენ პარტიებში [illegible]ძაბული ბრძოლები გაიმართა. [illegible]რანდსტრემმა გაიმარჯვა რუბ[illegible]ვასთან, შადურამ — ჩერეპანთან, ტიმოფეევამ — ლომოვატსკაიასთან, მიხაილოვამ — ავანესოვასთან. მანველოვა დამარცხდა შპიკენესთან.

ამრიგად, დამთავრდა ქალთა XXII საკავშირო პირველობის კიდევ ერთი ნახევარფინალი. მისი შედეგები ასეთია: I ადგილი დაიკავა ტოგონიძემ (თბილისი) — 11 ქულა, II ადგილი — იგნატიევამ (მოსკოვი) — 8,5 ქულა, III-IV-VI ადგილები გაიყვეს სტრანდსტრემმა, ტიმოფეევამ (მოსკოვი), იაკირმა (კიევი) და შადურამ (კურსკი) — 8 ქულა თვითეულს. შემდეგ არიან ლიალუნოვა (ერევანი) — 7,5 ქულა, რუბცოვა, მიხაილოვა (მოსკოვი) — 6 ქულა თვითეულს და ა. შ. მანველოვა (თბილისი) 3,5 ქულით ბოლოსწინა — XIII ადგილზეა.

სასახარულოა მ. ტოგონიძის ბრწყინვალე წარმატება. ქართველმა ოსტატმა დაუმარცხებლად ჩაატარა ტურნირი. მან მოიგო 9 პარტია და 4 ყაიმით დაამთავრა. მისი ახალი თვალსაჩინო მიღწევა კარგი მომავლის საწინდარია.

მესამე ფინალისტის გასარკვევად მოეწყობა დამატებითი შეჯიბრება შადურას, იაკირს, სტრანდსტრემსა და ტიმოფეევას შორის.

„დინამო“

ამას წინათ ბათუმში მოეწყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის 12 გუნდი.

ჩემპიონატში პირველ ადგილზე გამოვიდა უკრაინის ნაკრები. მომდევნო ადგილები დაიკავეს მოსკოვის, რსფსრ-ს, საქართველოსა და სომხეთის მოჭიდავეებმა. სურათზე თქვენ ხედავთ საქართველოს გუნდის წევრის შ. ლომიძისა და მოსკოველი ს. ბისტროვის შეხვედრის მომენტს. გაიმარჯვა ლომიძემ (ჩოქბჯენში ზემოთ).

ფოტო და ტექსტი ე. ჭანტურიასი.

დაეშვა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს VI სპარტაკიადის ალაში. დამთავრდა ბრძოლა საპრიზო ადგილებისათვის; ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა საერთო ჩათვლაში მეხუთე ადგილი დაიკავა მოსკოვის, უკრაინის, ლენინგრადისა და რსფსრ-ს კოლექტივებს შემდეგ.

საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივისათვის ეს ცუდი მაჩვენებელი არაა. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გუნდი თავის წინმავალ რსფსრ-ს კოლექტივს თითქმის 500 ქულით ჩამორჩება, ხოლო მომდევნო ესტონეთის გუნდს მხოლოდ 46,50 ქულით უსწრებს, მაშინ კიდევ ბევრი საჭირბოროტო საკითხის დასმა შეიძლება დაკავებული ადგილის ირგვლივ.

ნაკრები გუნდების ადგილები განისაზღვრებოდა ცალკეულ მონაწილეთა მიერ ნაჩვენებ ქულათა რაოდენობით, ამასთან ჩათვლაში შედიოდა მხოლოდ იმ სპორტსმენის შედეგი, ვინც პირველი თანრიგის ნორმატივს შეასრულებდა და ათეულში მოხვდებოდა.

ეს პირობა თვითეულ მონაწილეს მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი მათგანი თავის შესაძლებლობებზე დაბლა გამოვიდა ამ შეჯიბრებაზე:

ტანმოვარჯიშეები ნ. მაკალათია და მ. ბოგუსი ცალკეულ იარაღებზე კარგად გამოვიდნენ, მაგრამ მრავალჭიდში ათეულშიც ვერ მოხვდნენ (ქალთა შორის საპრიზო ადგილები დაიკავეს მ. ნინოშვილმა და ა. ჯანუაშვილმა).

არ გაამართლეს იმედები მძლეოსნებმაც, რომელთაგან მხოლოდ რ. შავლაყაძემ და ლ. ტუღუშმა შეძლო მაღალი შედეგების ჩვენება და პირველი ადგილის დაკავება, დანარჩენი 17 მძლეოსნიდან კი 12 მათგანმა „0“ შეფასება მიიღო. თავისუფალ და სამბისტი მოჭიდავეებიდან 4 მათგანი ვ. არსენიანი, ო. კანდელაკი, დ. ბერუაშვილი და ა. კიკნაძე „დინამოს“ ჩემპიონები გახდნენ მაშინ, როცა კლასიკური მოჭიდავეებიდან საუკეთესოებმა მხოლოდ მეოთხე ადგილების დაკავება შეძლეს. არადამაკმაყოფილებელი იყო მოფარიკავეთა გამოსვლა — ათეულში მოხვდა მხოლოდ ზ. ბილანიშვილი.

შედარებით კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ მოკრივეებსა და ჩოგბურთელებს. წყალში მხტომელმა ბ. პოლულიახმა კი „დინამოს“ ჩემპიონობაც მოიპოვა და გუნდს ყველაზე მეტი ქულათა რაოდენობაც (31) შესძინა. ჩემპიონი გახდა ძალოსანი რ. ჩამიშკიანიც.

„წმინდა“ გუნდურ თამაშებში პირველ ადგილზე გამოვიდნენ წყალბურთელები, ხოლო მეორეზე კალათბურთელები.

თავის შესაძლებლობებზე ბევრად ცუდი მაჩვენებლები ჰქონდათ საგზაოკეცილო ველოსიპედელებს, ძალოსნებს, ხუთჭიდელებსა და ტყვიით მსროლელებს.

„დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ ამ დიდი შეჯიბრებიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს და იბრძოლოს კომპლექსურ ღონისძიებებში უკეთესი ადგილის დაკავებისათვის.

„კოპენჰაგენი“ (აშხაბადი) - „მეტალურგი“ (რუსთავი)

— 0:2

[illegible]ბ“ კლასის გუნდების „კოპენჰაგენისა“ და „მეტალურგის“ შორის [illegible]ალენდარული მატჩი, რომელიც [illegible]თავში ჩატარდა, სტუმრებ-ს [illegible]ებით დაიწყო, მაგრამ ეს იყო [illegible]ლოდ ტაიმის დასაწყისში. თა[illegible]ის 23-ე წუთზე ყოჩიაშვილმა ისარგებლა აშხაბადელთა დაცვის დაბნეულობით და პირველი ბურთი გაიტანა

მეორე ბურთი რუსთაველებმა 43-ე წუთზე გაიტანეს. ანთაძის მიერ ჩამოწოდებული ბურთი თავით მაღალ კუთხეში გაგზავნა კალიუჟნიმ, მაგრამ მეკარემ მოიგერია. ბურთს მიუსწრო ისევ კალიუჟნიმ და ისევ თავით გაიტანა იგი.

მეორე ტაში გარდამავალი უპირატესობით აღინიშნა და არგარიში არ გაზრდილა.

ი. ბურჯულაძე

ფიშერმა მოუგო ტალს

ბლედის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის II ტურში მოხდა პირველი სენსაცია. ამერიკელმა ფიშერმა ნანატრი დამარცხება მიაყენა მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ტალს. საინტერესოა, რომ ფიშერმა ვერც ერთხელ ვერ „გაიხარა“ ტალთან შეხვედრებში, პრეტენდენტთა 1959 წლის ტურნირში ტალმა ჭაბუკი გროსმაისტერი ცრემლებამდე მიიყვანა, როცა ყველა ოთხი პარტია მოუგო.

— გავიზრდები, და მე ვიცი, — დაემუქრა მაშინ ფიშერი თავის მეტოქეს.

პეტროსიანმა მოუგო ჭაბუკ იუგოსლაველ ოსტატს პარმასს. ჩანებულად ითამაშა ახალგაზრდა გერმანელმა ოსტატმა დარგამ გროსმაისტერ კერესთან და ყაიმს მიაღწია. ასეთივე შედეგით დასრულდა არგენტინელი ნაიდორფის (იგი თამაშობს პანოს მაგიერ) შეხვედრა გელერთან. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე გლიგორიჩ — დონერი, მატანოვიჩ - პორტიში და ოლაფსონ-ივკოვი.

ლიდერობს გ. პოლულიახი

ოდესა. (ტელეფონით ჩვენი სპ. კორ.). აქ გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობა წყალში ხტომაში. პირველ დღეს კარგად გამოვიდა თბილისელი სპორტის ოსტატი ბ. პოლულიახი, რომელიც გუნდური შეჯიბრების დროს უძლიერესი აღმოჩნდა, მან მოაგროვა 158,68 ქულა და 10,21 ქულით გაასწრო მეორე ადგილზე მყოფ ი. ფეოდოროვს.

ამრიგად, გუნდური შეჯიბრების შედეგად შერჩეულია 12 უძლიერესი, რომლებიც იბრძოლებენ ჩემპიონის ოქროს მედლისათვის. პირად ჩათვლას სათავეში უდგას ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ბ. პოლულიახი.

ლ ე ლ ო

ფე-ს ფ3. № 138 (1774)



ჩილი!

ესაა 1962 წლის „საფეხბურთო მექა“. სწორედ აქ უნდა ჩამოიტანონ მომავალი წლის მაისის დასასრულისათვის ბრაზილიელებმა თავიანთი უძვირფასესი ნადავლი—ბაჯაღლო ოქროსაგან ჩამოსხმული გამარჯვების ქალღმერთ ნიკეას ქანდაკება, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის, განსვენებული ჟულ რიმეს მარადიული საჩუქარი, რომელსაც ბრაზილიაში ინახავენ, როგორც წმიდათაწმიდა რელიქვიას. ერთერთმა ბრაზილიელმა ჟურნალისტმა ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად დაწერა, რომ „ჩვენ სრული იმედი გვაქვს 1962 წელს შევინარჩუნოთ მსოფლიო ჩემპიონობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ოქროს ქალღმერთს არავითარ შემთხვევაში არ ჩაგვატანინებდნენ სანტ-იაგოში“.

მართლაც, ძალზე ძნელია გამოეთხოვო უმაღლეს საფეხბურთო პრიზს და ბრაზილიელებმაც კარგად იციან, რომ მისი შენარჩუნება უფრო ძნელი იქნება, ვიდრე მოპოვება.

ჩილის საფინალო ტურნირმა უნდა გადაჭრას მრავალი ურთულესი პრობლემა და პირველ ყოვლისა ზუსტად დაადგინოს საერთაშორისო საფეხბურთო იერარქია ჩვენს პლანეტაზე მორიგი 4 წლის პერიოდში.

საამისოდ ჩილში გაცხარებული მზადებაა. სანტ-იაგოს ცენტრში, უერფანოსის ქუჩაზე მდებარეობს 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი, სადაც დილიდან დაღამებამდე გაისმის საბეჭდი მანქანების კაკუნი, ტელეგრაფს მოაქვს უახლესი ცნობები, საქმიან ფოსტას ბოლო არ უჩანს.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ კ. დიტბორნმა, პასუხისმგებელმა მდივანმა პ. ფორნაზარიმ, კომიტეტის წევრებმა დეტალურად შეისწავლეს 1954 წელს შვეიცარიაში და 1958 წელს შვეციაში გამართული ჩემპიონატების მდიდარი გამოცდილება და მათი სურვილია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით 1962 წლის ჩემპიონატი ჩატარდეს უმაღლეს საორგანიზაციო და სპორტულ დონეზე. გარდა ამისა, არავისათვის საეჭვოლოებას არ წარმოადგენს, რომ გათამაშების დაწყების დროისათვის ჩილის მოაწყდება აუარებელი ტურისტი მსოფლიოს ყველა კუთხიდან, ამიტომ მათ უნდა ნახონ არა მარტო დიდი ფეხბურთი, არამედ ეს შორეული, შესანიშნავი ქვეყანაც.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩილი ერთ დროს უძნელეს პრობლემას წარმოადგენდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისათვის. საშინელმა სტიქიურმა უბედურებამ — მიწისძვრამ, რომელიც ორიოდე წლის წინ დაატყდა თავს ამ ქვეყანას, მთელი სიმწვავით დააყენა საკითხი: შეძლებს თუ არა ჩილი მიიღოს მსოფლიოს საუკეთესო გუნდები, ტურისტთა აუარაცხელი რაოდენობა მაშინ, როცა თვით მისი მკვიდრნი უმძიმესი განსაცდელის წინაშე დგანან და ბევრ მათგანს ჭერი ჩამოენგრა თავზე. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც თავიდანვე კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ შორეული ჩილისა, ვინაიდან იქ მგზავრობა მოითხოვს დიდ ხარჯებს, ხანგრძლივ აკლიმატიზაციასა და სხვა მისთანა სიძნელეებს, საქვეყნოდ აცხადებდნენ: „ჩვენ არ გვინდა ნანგრევებზე თამაში“.

ჩილიდან, მართლაც გაუგონარი ამბები მოდიოდა და ფიფა იძულებული იყო საგანგებო უფლებებით აღჭურვილი კომისია გაეგზავნა სამხრეთ ამერიკაში. მაგრამ კომისიამ სასიხარულო ცნობები ჩამოიტანა: ჩილში მაქსიმალური ტემპებით მიმდინარეობდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები და მასპინძლები ავტორიტეტულად ირწმუნებოდნენ თავის დროზე ყველაფერი წესრიგში იქნებაო. პ. ფორმაზარიმ ამას წინათ კიდევ ერთხელ გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ ჩემპიონატისათვის მზადება ზუსტად დადგენილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და სტადიონებზე, სადაც უნდა ჩატარდეს ფინალური თამაშები, უკვე დასასრულს უახლოვდება სამუშაოები.

თავდაპირველი გეგმა ითვალისწინებდა ფინალური ეტაპის მატჩების ჩატარებას ჩილის 9 ქალაქში. მთავრობამ სპეციალური დადგენილებით 3,6 მილიონი დოლარიც გამოჰყო ახალი სტადიონების ასაგებად. მაგრამ ეს ფული შემდგომში მთლიანად გადაეცა მიწისძვრით დაზარალებულ სამხრეთის რაიონების მაცხოვრებელთ და ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი იძულებული იყო ეფიქრა ახალ გეგმაზე, რომელიც გაცილებით უფრო ძნელი შესადგენი და მით უფრო ძნელი შესასრულებელი იყო, ვიდრე ძველი.

საბოლოოდ ახალი გეგმა შედგა ამ ვარაუდით, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაცია უნდა მთლიანად გადაჭრილიყო ადგილობრივი ფინანსური რესურსებით. ამ იდეამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩილში. ქ. არიკას ხელისუფლებამ გადაწყვიტა საკუთარი თანხებით ააგოს სტადიონი, დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაატარეს ვინია-დელ-მარის, რანკაგუას და სხვა ქალაქების საბჭოებმა. ფირმამ „ბრაუდენი, კუპერი და კომპანია“ საკუთრივ იკისრა სტადიონის მოწყობა.

და მხოლოდ სანტ-იაგოს ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობა ხდება სახელმწიფოს ხარჯზე, ვინაიდან აქ უნდა მოეწყოს ფინალთა ფინალი, რომელსაც დაესწრება 100 ათასზე მეტი მაყურებელი.

საერთოდ, ჩილში ასეთი მასშტაბის შეჯიბრების ჩატარება არც ისე იოლი საქმეა. თუ გახსოვთ გეოგრაფიული რუქიდან, ჩილი გრძელ ზოლად გასდევს არგენტინას დასავლეთით, წყნარი ოკეანის სანაპიროზე. ესაა ვიწრო, გრძელი ქვეყანა და ფეხბურთისათვის ვერაა მთლად მოსახერხებელი. მაგალითად, არიკასა (ჩრდილოეთით) და კინსეპსიონს (სამხრეთი) შორის მანძილი ისეთია, რომ თვითმფრინავით მისვლას 7 საათი სჭირდება. ეს ძალზე გააძნელებს ფეხბურთელთა და მომსახურე პერსონალის მიმოსვლას ერთი პუნქტიდან მეორეში.

ჩილის უდიდესი სამშენებლო ფირმა „კორვი“ სანტ-იაგოს მახლობლად წარმტაც მიდამოში აშენებს საავარაკო ტიპის ორ მოზრდილ სოფელს, რომლებსაც აქ „ოლიმპიურ სოფლებს“ უწოდებენ. თუ რა „სოფლებია“ ეს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც ასეთი ციფრებით: პირველ მათგანში მოთავსდება 17 ათასი კაცი, მეორეში — 15 ათასი. რა თქმა უნდა, ამ ბინებს ჩილელები ყოველთვის გამოიყენებენ, მით უმეტეს, რომ ეს ქვეყანა ყოველთვის დგას საბინაო კრიზისის წინაშე.

კორესპონდენტებს ექნებათ ყველაფერი, რაც საჭიროა ინფორმაციის ოპერატიულად და ხარისხიანად გადაცემისათვის. ჩილის ტელეგრაფისა და ტელეფონის კომპანია დაამყარებს უშუალო კავშირს მსოფლიოს ყველა კონტინენტთან, უზრუნველყოფს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას საჭირო უახლესი აპარატურით.

სატელევიზიო კომპანია „ევროვიზია“ მოახდენს მატჩების ტრანსლაციას ევროპისათვის და ამ საკითხში მან დეტალური ურთიერთგაგება ჰპოვა საორგანიზაციო კომიტეტთან. თვითეულ ქალაქში, სადაც ჩატარდება თამაშები, შეიქმნება პრეს-ბიურო, რომელიც როგორც ცენტრს, ისე ქალაქებს შეატყობინებს დაწვრილებით ამბებს.

დიდი სიძნელეებია ბილეთების განაწილების საქმეში. მართალია, ბილეთების ფასი ძალზე მაღალია, მაგრამ მსურველთა რაოდენობა მაინც ბევრია. ევროპას ჯერჯერობით გაუნაწილეს 3.000 აბონემენტი (ეს მინიმუმზე ნაკლებია!), მაშინ, როცა არგენტინას მისცეს 5.000 ადგილი, ხოლო ბრაზილიას მთელი არმია — 7.000. ასეთი რაოდენობით ბრაზილიელ გულშემატკივართა ერთად თავმოყრა დიდი მორალური დახმარებაა ამ ქვეყნის გუნდისათვის. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ევროპა საგანგებო ზომებს შემოიღებს, რათა გაასწოროს ძალთა თანაფარდობა ტრიბუნებზე. სამხრეთ ამერიკის სანამდგომლისა ვინ ეს მეტად საეჭვო ღონისძიებაა.

ჩილი ფეხბურთის გარდა მრავალ საინტერესოს პირდება ჩამოსულებს. აქ ტურისტებს აჩვენებენ ეროვნულ თამაშებს, ცეკვებს, სიმღერებს, ღირსშესანიშნაობებს, ფეხბურთი ფეხბურთია, მაგრამ ჩილელებს სურთ თავიანთი ეგზოტიკური სამშობლოც გააცნონ შორეული ქვეყნებიდან ჩამოსულთ.

ბ. სტაშაძე

რედაქტორი ი. უგულავა.

ბერლინში, 10 სექტემბერს

უნგრელი და გერმანელი ფეხბურთელები გაცხოველებით ემზადებიან მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩისათვის, რომელიც 10 სექტემბერს უნდა გაიმართოს ბურლინის ვალტერ ულბრიხტის სახელობის სტადიონზე.

ბუდაპეშტის გაზეთ „ნეპ შპორტის“ ცნობით, ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლაიოშ ბაროტიმ მატჩისათვის მოამზადა გუნდის ასეთი შემადგენლობა: მეკარეები გროშიჩი და ტერეკი, მცველები მატრაი, შიპოში და შოვარი, ნახევარმცველები შოლიმოში, ნაგი, კოტასი, თავდასხმა — შანდორი, გერეში, ალბერტი, ტიხი, ფენვეში, მონოშტორი.

ბერლინის გაზეთ „ინტერნაციონალეს შპორტ-ეხოს“ ცნობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უნგრელმა კაროლი შოოშმა მატჩისათვის მოამზადა ასეთი გუნდი: მეკარეები შპიკენაგელი და ფრიჩე; მცველები კალინკე, ჰაინე, კრამპე, უნგერი; ნახევარმცველები მიულბეხერი, მაშკე, კაიზერი; თავდასხმა — ჰოგე, მეიერი, დუკე, ერლერი, ნახტიგალი, შრეტერი, კლინგბილი.

გერმანელებმა ბოლო საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს უნგრეთის ჩემპიონატის ახლანდელ ლიდერ ბუდაპეშტის „ფერენცვაროშთან“, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ ალბერტი და ფენვეში. მატჩი მოიგეს გერმანელებმა — 4:2. ბაროტის გუნდმა რამდენიმე შეხვედრა გამართა უნგრეთის მეორე ჯგუფის გუნდებთან. ყველა ეს მატჩი უნგრეთის ნაკრებმა ასტრონომიული ანგარიშით მოიგო.

თუმცა მატჩი ბერლინში გადამწყვეტ როლს არ თამაშობს ფინალში გასვლისათვის ბრძოლაში (წაგების შემთხვევაშიც კი უნგრელები პირველ ადგილზე დარჩებიან), მაგრამ იგი დიდ ინტერესს იწვევს, რადგან უნდა ცხადყოს უნგრეთის ნაკრების მომზადების დონე. ამიტომ მასზე დასასწრებად მრავალი გამოჩენილი ევროპელი სპეციალისტი ჩავა.

ლეივერის მორიგი დამარცხება

როგორც უკვე ვიუწყებოდით, უიმბლდონის საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვებული და მოყვარულთა შორის მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონად აღიარებული ლეივერი (ავსტრალია) ევროპაში დიდ საგასტროლო ტურნეს ატარებს. მან უკვე მიიღო მონაწილეობა ორ დიდ საერთაშორისო ტურნირში და ვერც ერთში ვერ მიაღწია ფინალამდე.

ამ დღეებში ლეივერმა მესამედ სცადა ბედი. იგი გამოდიოდა დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ვენაში გაიმართა. ტურნირმა ძლიერი შემადგენლობა შემოიკრიბა. აქ ლეივერის საქმეები პირველად კარგად წავიდა. მან სძლია ძლიერ მეტოქეებს და გავიდა ფინალში, სადაც მისი მოწინააღმდეგე იყო ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი ემერსონი. ორი ავსტრალიელის ფინალური ბრძოლა უაღრესად საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა. გაიმარჯვა ემერსონმა—6:3, 6:3, 3:6, 0:6, 6:2.

წყვილთა შეჯიბრებაში ემერსონმა და ლეივერმა სძლიეს დარმონსა (საფრანგეთი) და ლეგენშტეინს (ავსტრია) — 8:6, 3:6, 10:8, 6:0.

ემერსონმა, რომელმაც ევროპაში წლევანდელი ტურნეს დროს დიდ წარმატებებს მიაღწია, განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში აპირებს კრამერის „ცირკში“ გადასვლას.





7—8
სექტემბერი
ზელბურთი
(7 X 7)
დინიამო-საქართველო
(ვაუები და ქალები)
დასაწყისი 19 საათზე.

9
სექტემბერი
კალათბურთი
სსრ კავშირის პირველობა
„დინამო“ (თბილისი)-
„დინამო“ (მოსკოვი)
დასაწყისი 20 ს. 30 წ.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი
9
სექტემბერი
საერთაშორისო შეხვედრა
მალის რესპუბლიკის ნაკრები —
„დინამო“ (თბილისი)
დასაწყისი 17 ს. 15 წ.

10
სექტემბერი
სსრ კავშირის
პირველობა („ბ“ კლასი)
„ხიმიკი“ (მოგილიოვი)-
„ლოკომოტივი“ (თბილისი)
დასაწყისი 17 ს. 15 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ფა 02649